

რეკლამები

კვანდაკი

წელიწადი მისაღებად

რედაქცია

კვანდაკი

სამაშობო მასალა უნდა იყოს გაზეთის ფასით... რედაქცია ღიაა: დღის 9-2 საათამდე და საღამოს 5-7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

ჩვენი ქვეყანას რედაქციის კანტორასთან და არსდა გაზეთის ფონდი. მოქალაქეებო გაიღეთ შემოწირულებანი. გაზეთის გამოცემის საქმე მკითხველთა თანაგრძნობაზეა დამოკიდებული.

მისულ გზაზე იდგენ, რომ ამით შექნათ აუცილებელი ობიექტური პირობები კავკასიაში ერთი ფრონტის შექმნისათვის მოხალისეთა არმიის წინააღმდეგ. ასეთ მომენტში, როდესაც საქართველო იყო კავკასიის ნორჩ რესპუბლიკების საერთო მტრის დენიკინის წინააღმდეგ შეთანხმება, სომხეთის წარმომადგენლობას კონფერენციაზე დენიკინის სამეგობრო პოზიცია ეჭირა, მათ ულტიმატუმებს დენიკინის ზურგის გამაგრება ქონდა მიზნით.

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე მარიამ ფილიპეს ასული, ვაჟი შვილები ვლადიმერი და რომანი, ქალიშვილები ნატალია, სანა და ელენე (ქუთუ) უგრინოვიჩისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს დაუვიწყარს და ძვირფასს კონსტანტინე (კოწია) თეონარის ძე მკურნალის გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე დასაფლავება 26 ივნისს ნაშუადღევს 4 საათზე. საფიჩხის სასაფლაოზე. 2-2

თუ ერთის მხრივ საქართველოს დედაქალაქის თამაშდრომარეს ევ. გეგეჭკორს და აზერბაიჯანისას ხან-ხოელს სწამთ, რომ კონფერენციამ თვენახვერის მუშაობის შედეგად მრავალ კარდინალურ საკითხებში შედეგათ შეთანხმება მოგვეცა და ტერიტორიის საკითხში კი აღინიშნა ის პრინციპები, რომლის საშუალებით შესაძლებელი იქნება მომავალში გაუმწევა ვებლათ ამ საკითხის მოწესრიგება, მეორე მხრით სომხეთის დედაქალაქის თავმჯდომარე ტიგრანინი უფრო პესიმისტურათ უყურებს კონფერენციის მუშაობის შედეგებს და საჯაროთ აცხადებს: კონფერენციამ დადებითად გადაწყვიტა მხოლოდ წვრილი საკითხები, კარდინალური საკითხები, როგორც ფინანსური, ტერიტორიული საკითხები, რომლისათვისაც იყო მოწვეული კონფერენცია, გადუწყვეტილი დარჩა. ამაირათ თუ მხედველობაში მივიღებთ ტიგრანინის მიერ კონფერენციის მუშაობის ასეთ შეფასებას, ჩვენთვის ცხადი იქნება, სომხეთის აშკარა სამტრო სულიერი განწყობილება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა მიმართ. იმ დროს როდესაც საქართველომ და აზერბაიჯანმა საერთო ენა გამოახეს და კიდევაც შეთანხმდნ საერთო მტრის წინააღმდეგ ერთი ფრონტის შექმნის საქმეში, სომხეთი ამ შეთანხმებას გარეშე დარჩა. მათთვის, ვისაც შერჩენია უნარი ფაქტების გაგებისა და მოსალოდნელ შედეგების გათვალისწინების, სომხეთის დედაქალაქის ასეთი საქციელი, მოულოდნელი არ იქნებოდა, სომხეთის მმართველ პარტიის დაშაკაცანების პოლიტიკა მუდამ ავანტიურისტული იყო. სომხეთმა არც ახლა უღალატა ჩვეულებას და იზოლიაციაში მყოფი სომხეთი კიდევ ემზადება ახალ ავანტიურისტთვის. კავკასიის კონფერენციაზე თავისი შეურაცხველი პოზიციათა და მიუღებელი მოთხოვნებით მან დენიკინისათვის პასიური დახმარების გაწევა უკვე მოასწრო.

ენათ მეცნიერების და ლიტერატურის კურსები. ჯარითული, ფრანგული, გერმანული, რუსული. გრამატიკა, ფონეტიკა, სემანტიკა, ლიტერატურა. კურსებზე მეცადინეობა დაიწყო ივნისის 20. მისამართი: ძველი თბილისის ქუჩა, კლდიაშვილის სახლი. ქუთაისის რეალური სასწავლებლის მასწავლებელი ძ. ბ. კაკაბაძე.

მაქვს (1000) ათას ფუთამდე გამოწვევარი რკო შაპისბათობის. იყიდება მხოლოდ მთელი პარტია. მსურველს შეუძლია მომაკითხოს ვარციხის ნაციონალურ მამულში ყოფილი ანანოვისა. პატივისცემით ლავრენტი ბუილიშვილი.

Приѣхал на 10 дней Г. А. РЯБУШКО Фортепианный мастеръ и настройщикъ фортепианныхъ фабрикъ Бекаръ Ранишъ. Принимаетъ починку и настройку РОЯЛИ и ПЯНИНО Адрес: Гагаринская. № 42, противъ окружнаго суда. 1-1.

ამიერ კავკასიის ჰონფერენცია და დანიკინი. კავკასიის კონფერენციის მუშაობა უკვე შეწყდა. კონფერენციაზე დასმული იყო ყველა ის სადაო საკითხები, რომელნიც ართულებდნ და ამწვავებდნ კეთილ-მეზობლურ ურთიერთობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა შორის. მიუხედავად საქართველოსა და აზერბაიჯანის დედაქალაქების თავმჯდომარეთა ოპტიმიზმისა, კონფერენციის მუშაობა არ იყო ნაყოფიერი და მრავალი კარდინალური საკითხი, ურომლისოთაც შეუძლებელია ამიერ-კავკასიის პოლიტიკურ ერთგულებას შორის საერთო ენის გამოახვა, გადუწყვეტილი დარჩა. საქართველოსა და აზერბაიჯანის წარმომადგენელნი კომპრო-

მიუღებელი მოთხოვნებით მან დენიკინისათვის პასიური დახმარების გაწევა უკვე მოასწრო. სომხეთს თავისი ახირებული პრეტენზიების განადგება დენიკინის დახმარებით უნდა და თავისი შეურაცხველი პოზიციის გამართლება რკინის არგუმენტების საშუალებით, რომელსაც მაშინ მოიმარჯვებს, როდესაც დენიკინთან ბრძოლაში ვიქნებით ჩაბმული. მაგრამ ქართველთა გრმა თუ იაფათ დაუჯინა ომებს სანაინის ავანტიურა ეს ჩვენი თავრობის სოციალისტური შერჩევის სარგო პოლიტიკის წყალობა იყო, რომლის თილისმის ზეგავლენით გეგეჭკორ უფრო მეტი სიმპატიით ეპყრობო სოციალისტურ სომხეთის მთავრობა მაგრამ კონფერენციაზე უკანასკნელი მიღებული გადავითლი ერთხელ კიდ დასაწავლის ქვეყნის ჰირისუფლებს ქვე და ნომავალში ასეთ შეცოთმებს არ ენება ადგილი. უნდა ითქვას: საქართველოს ისტორიის ჩარხი მელწალმა ვადმოტრიალდა და პირნახული ივერია დეს თავისუფალია! დაინგრა ჩვენი დამჩაგვრი რუსეთი, განადგურდა მისი ვერაგ პოლიტიკა, დაემო მისი ძალმომრეობა აღიგავა პირისაგან ქვეყნისა მისი—პოტიკისა და ეანდარმერიაზე—აგებული იერგმა... ვერაფითარი თილისმა ვერ აღადგენს ძველს რუსეთს, ვერაფითო დენიკინი და კოლჩაკი ვედარ გააცოლებენ რუსეთის იმპერიას, ვინაიდგა არაც ერთხელ ცხოვლად გულს დადების, საშვილიშვილოდ გადაიცემის და... განა დაავიწყდებათ ევანდლომდე რუსეთის საზღვრებში მყო გრებს და მათ შორის საქართველოს დამცირება, ის გაბიბრუება, ის ტანჯვა წვალება, რომელიც ძველმა რუსეთმა მოაცდევინა მათ? განა დაივიწყებს საქართველო იმ ცეცხლის პურს, რომელიც რთი აქშეველა მას ამ ასი წლის განმავლობი და იმ ვერაგობას, რომლითაც უჩინძლდებოდა ას ჩვილმეტი წლის სიგ სიგანჯე? არა და არა! რაკი ერთხელ თავიდან წორა პირი და უმეური, რაკი კვლავ ევა თავისი სძიებელი და რაკი ისევ ღვა თავის ხალხოსნურ გზაზე—საქართველო აღარ მოინდომებს თავის უბედურს და კვლავ აღარ გაპყოფს თავს კავანათ როგორც უგურნი და უვიცი ბელურა მართალია,—ერთის თვად დაკვირით, ერთის შეხედვით, ერთის აკვირვებით ქართველი ხალხი, ქართველური თითქოს გადაპყოლია უცხო ძღვრებას, თითქოს გაოვნებულა, გაბანებულა, გადაბირებულა, გადაგვარება და პირდაუჩენილი შეპყურებს ცასაცა როდის ჩამოპყრის ღმერთი გამომტრ საქაბურებსა... მართალია, არამც თუ ჩვეურ სოციალისტებში, არამედ ეროვნ პარტიებშიაც ასში ერთს ვერ ნახა ნამდვილ მამულიშვილს, ნამდვილ რიოტს—ასეთი დამლუპველი იყო ჩვეის რუსის სკოლა, რუსის სასამართლოუსის ეკ-

ლესია, რუსის ყაზარმა და ის მოძღვრებანი, რომელსაც უქადაგებდნენ და დღესაც უქადაგებენ ჩვენს ხალხს ამ ოცი, ოცდაათი წლის განმავლობაში სხვისი აზრებითა და სხვისი ენა-პირით ვატყობდნენ ჩვენზე თანაზომენი, — შავრამ ყველაფერი ეს წარმოადგინა, დროებითაა...

მოკვდავ ძველი დრო და წესი ცხოვრებისა, უნდა მოკვდეს ამ დროისაგან შთანერგილი აზროვნებაცა და გულის-თქმაც; ნათქვამია: ბუისა ბუ იქნება, არა წივისა კი — აწივიო...

თუ დღევანდელ ბუ იყო ჩვენი ხელმძღვანელი და აღმზრდელი, დღეს შემდეგ საქართველოში მთა კლდეებში წამოიზარდნენ არწივები და მათი მძლავრი ფრენა; მათი ფრთების ტყლაშუნი და მედიდური ამაცი სრბოლა სამშობლოს ცაზე კვლავ შთაბეჭდავს ქართველობას დიად ერდვან სულს და თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი შვილი შექმნიან კიდევ დაუსრულებელ სიმღერას თავისუფლებისას!

რუსეთის ააღმა პუგაჩევი, თუ სტენკარაზინმა — ბტონმა — ლენინმა ვადაბრუნა ნაპაღინ დიდის სიტყვები და სთქვა: „დღევანდელი ბოლშევიკი რომ გადაფიქროთ ველიკოროსი ამოპყფს თავსაო.“*)

და მართალა სთქვა! აბა დაუკვირდით რუს ბოლშევიკს, მენშევიკს, სოციალ-რევოლუციონერს, კადეტს თუ დენიკინულს, როგორის ზიზღით ეპყრობიან საქართველოს, მის თავისუფლებას?! რათა?

იმიტომ, რომ მათ ვერ მოუწვდებოდათ სხვისი თავისუფლება, მათ ენანებათ თავისი ბატონობის დაკარგვა; იმიტომ რომ სოციალისტობა მხოლოდ სიტყვის მასალაა; იმიტომ რომ: რუსი რომ გადაფიქროს, უსამართლობა ამოპყფს თავს!..

ასეთი უკუდართი იყო რუსეთის ისტორია, იგი ღლამორბობასა და უსამართლობაზე იყო აგებული-შენებული!..

ამ უსამართლობაში და ძალმომრეობაში ვათახსობ ქართველი ხალხიც, მაგრამ ის კი ვიწყებდობა და ავიწყდებოდათ დღევანდელ რუს სოციალისტებსა და არასოციალისტებსაც, რომ ქართველ ერს, ქართველ ხალხსაც აქვს თავისი ისტორია.

დღევანდელი ქართველი კაციც რომ გადაფიქროს თავს ამოპყფს ორმოცი საუკუნის წარსული საქართველოსა, ის მადლი და ქორნახულობა, რომელმაც შექმნა ძველი ქართველის მტკიცე ეროვნული სული და დაუშრეტელი წყარო ვაჟაკობისა და სამართლიანობისა!

აი, რა არის თავმდები საქართველოს უკვდავებისა და შეურყველობისა!

საქიროა მხოლოდ გულიდან გადავიფროთ ის ჭანჭი და ელეხი, ის ღვაკრობა და ქედმობრილობა, ის უიმედობა და ფუქსავეტობა, ის შიში და ძრწოლა, ის ლაქიობა და ვაჟუტანლობა, ის სიცრუე და ორპირობა, ის თვითმოყვარეობა და ბატონყობა, ის გამთიშველობა და გათავთავება, ის უიციობა და უგულობა, ის მაიმონობა და წამბამველობა, ის სიტყვა და პასუხი ის ყაღბი აზრები და ყაღბი მოქმედება რომლებიც ჩანერვა, ჩასთესა და გააძლიერა ჩვენში რუსეთის ხელში მონობაში!

საქმარისია ერთის დაკვრით, ერთის ნების-ყოფით, ერთის ეროვნული ხელის გაქნევით წავშალოთ, წარვხოცოთ ასი წლის რუსეთის ბატონობის ზეგავლენა, შევქმნათ ქართული სკოლა, ქართული ეკლესია, ქართული სასამართლო, აღვადგინოთ ქართული ზნე-ჩვეულება, ქართული ისტორია, ფილოსოფია, სიტყვა-პასუხი, მეზობლობა, პურმარლი, მის-

ვლა-მოსვლა, საქაოა მივცეთ-ნიჭსა ვაზა-ფართო, თავისუფლება ღირსებას, საქაოა თვითთულმა ჩვენთაგანმა თავისი თავი წარმოიდგინოს არა დენერლად, ანუ ხელმძღვანელად ცხოვრებისა, არამედ ერის, ქართველი ხალხის მუშაკად, ჯარისკაცად, მორიგედ საქართველოს ქირახულობისა და...

მაშინ ნახავთ რა იქნება საქართველო, მაშინ ნახავთ, თუ ვინმე რამეს დაგვაკლებს!..

თორემ დღეს დღეობით მე სრულიად არ მიკვირს, რომ ყველა კბილებს გვიკრაქუნებს: რუსი, სომეხი... ოსიც კი...

ჩვენ ისევ რუსების მაჩანჩალები ვგონივართ!..

ჩვენ მხოლოდ კულა ხარებად მივაჩნევართ, თავისთვის რომ არ იყო და სხვის კი ბუზებს უგერბდა!..

ჩვენ მხოლოდ ნაცარ-ქექიები ვგონივართ, მუდამ ბუზართან რომ ზის ხოლმე და ყბები საბერველად გაუხდია!...

დროა გავფანტოთ აზრთახიყალბე ჩვენის მტერ-მოყვარეებისა!

დროა შემოვკრებთ ერთის დროშის ქვეშ — ბებერი, ჭირნახული საქართველოს დროშის ქვეშ და შემოვძახოთ ჩვენებური, მამა-პაპური სიმღერა:

აღსდგე გმირთ გმირო ნუ გძინავს, მტერთა ისმიან ხმანია, დიდხანს ძილს ჩვეულ როლი ხარ, მოგვიხმე უნჯნი ყმანია! დიახ! თითოეული ჩვენთაგანი ყმა იყო ერისა და ხალხისა და დღესაც ყმა და მსახური უნდა ვიყოთ მისი!...

რას მიქვიან პარტია პარტიისათვის, რას მიქვიან თავადი, აზნაური, გლეხი, ერი, ბერი, მუშა, ვაჟარი, ნასწავლი, უსწავლელი!

ამიერიდან საქართველო თავისუფალი უნდა იყოს და ამ თავისუფლებას შექმნის მხოლოდ ქართველური ერთობა; ამ თავისუფლებას შექმნის მხოლოდ მთლიანი ქართველი ერი; ამ თავისუფლებას მოგვანიჭებს მხოლოდ განწორვა ჩვენის თავისა, ქონებისა, შეძლებისა, სიცოცხლისა; — მთელის ჩვენის არსებისა სამშობლოსათვის, ერისათვის, ქვეყნისათვის!...

— „სოციალისტი“ ხარ?

— ისოსციალისტი საქმით და არა სიტყვით!

— „არასოციალისტი“ ხარ?

— იყავი ადამიანი და ქვეყანა დაგაფასებს.

თავადი ხარ, არა წოდებით, რომელიც კარიელი სიტყვაა, არამედ სულით, გულით, ჭკუითა და გრძობით?

— გავვიძებნი წინ, ერის, ხალხის საკეთილდღეობათ!

— ვაჟარი ხარ?

— ნუ იქნები ჩარჩი და მიტყუარა, შენც იცხოვრე, სხვაც აცხოვრე?

— ნასწავლი ხარ?

— გაანათლე ქვეყანა!

— უსწავლელი ხარ?

— ისწავლე ერისათვის!

— მუშა ხარ? იყავი ალალი და გამ-რჯე. ერი არ დაივიწყებს შენს შრომას!

— მთავრობა ხარ?

— შექმენ ისეთი, წესი ისეთი კანონი ცხოვრებისა, რომ ყველამ ქელი მოიხაროს შენი სამართლიანობის, შენი მართლ-მსაჯულების წინაშე!..

თორემ რასა ჰვავს დღევანდელი ჩვენი საქციელი? აბა მიიხედ მოიხედეთ.

ყველა სოციალისტობს: დებურტირი, მუქთახორა, დვდელი, მოხელე — ნამდვილ, იდეურ სოციალისტებს აბნელებენ, სოციალისტობა კუქის მრწამსად გადაუქცევიათ!..

ქართველი ერი, ქართველი ხალხი კი... დავიწყებულია, დანაწილებულია, გათავთავებულია!

სოფელი კენესს და გოდებს, სოფელი დრტინავს, სოფელი გმინავს. მას სწყუ-

რია ერთობა, სამართლიანობა. მას სჭირია არა მსოფლიო ყაზარამ, არამედ ალალი ლუკმა და ალალი შრომა.

ამას კი მას შესძლების ქართველური სამართალი, ქართველური უფლებრივობა, ქართველური სჯული და ადათი, მშობლიური ზრუნვა და წინამძღოლობა.

მიეცით ყველა ეს ქართველ ერს და ისე ვაძქრებთან მტრება საქართველოსა, როგორც ვაძქრა შარშანდელი ჩვენი მონობა და...

საქართველო კვლავ შეიტანს თავის წველილს კაცობრიობის სალაროში!..

ია ევალაძე.

უკანასკნელი ცნობები.

დენიკინის ზრახვანი.

როსტოვის ვაზეთ „პრიაზოვსკი კრაი“ ში ლაბეტლილია მეთაური საქართველოს საკითხზე. მოგვყავს ამ წერილის ერთი ადგილი: „ეკატერინოდარში მოვიდა საქართველოს მთავრობის დელეგაცია დენიკინთან მოსალაპარაკებლად. რისთვის მოსულან და რა მსურთ საქართველოს ელჩებს ეს ჯერ არ ვიცით. მაგრამ სამხრეთ რუსეთის სარდლობის შეხედულება საქართველოს რესპუბლიკასთან ურთიერთობის თაობაზე უკვე ნათლად სჩანს. განზრახული იყო მოწვეულყო სამხრეთ-აღმოსავლეთის მთავრობათა და ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კონფერენცია. ამ კონფერენციის საქმეთა გამო დაარსებულმა საგანგებო თათბირის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ვიდრე საქართველო ჰდვას დამოუკიდებლობის შეურთვებელ პოზიციაზე მოხალისეთა არმია მასთან არავითარ მოლაპარაკებას და ურთიერთობას არ იქონიებს.“

საქართველომ უნდა მიიღოს შემდეგი პირობები რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება მოხალისეთა არმიისთვის საქართველოსთან ურთიერთობის დაქვერ: 1. საქართველოს სცნობენ დროებით სახელმწიფო ერთეულად, როგორც დონსა და ყუბანს. 2. სამხედრო საქმეებში საქართველო ემორჩილება მოხალისეთა ჯარის სარდლობას. 3. საქართველოს საკითხს საბოლოოდ გადასწყვეტს სრულიად რუსეთის სახალხო კრება არჩეული საყოველთაო არჩევნების უფლების მიხედვით.“

რაც შეეხება ეკატერინოდარში დელეგაციის გაგზავნას ეს აედინაია როსიას და გრ. ჩალხუშინის „პრიაზოვსკი კრაი“ ში ვაგრაზმელთა პროვოკაცია. იქ არავითარი დელეგაცია არ გაგზავნილა.

(საქართველოდან).

ვრანგული პრესა.

საქ. დებ. საავენტო.

ოთხთა საბჭოს შეცვლა ხუთთა საბჭოთი. ოთხთა საბჭოს წევრნი წავიდწამოვიდნენ: ვილსონი ბრიუსელშია, ლოიდ ჯორჯი ვერდენში. მათი წასვლის შემდეგ საქმეებს აწარმოებს ხუთთა საბჭო, რომელსაც განსახილველათ წარედგინება სამი საკითხი: 1) იმ დაკანონებათა შესახებ, რომელიც ძალაში უნდა შევიდეს დანცინგში, როცა გერმანელები ქალაქს გადასცემენ ხალხთა ლიგას და უკანასკნელი კი იქ თავის რწმუნებულს დანიშნავს: პოლონეთისა და უკრაინის შორის დროებითი ზავის შესახებ; 2) პლემბისციტის მოხდენის შესახებ კლაგენფურში, რომელსაც ავსტრიის გერმანელები და სამხრეთის სლოვანები ერთმანეთს ედავებიან.

ინგლისური პრესა
(საქ. დებ. საავენტო.)
ვილსონის გამგზავნება. ვილსონი უკანასკნელი (საქართველო) ვილსონი პარიზიდან ივნისის 24 და 25 წამოა. ვაშინგტონში ჩამოსვლისთანავე კონერგს წარუდგება და შემდეგ მიმდინარე საქმეებს შეუდგება, ვიდრე ხალხთა ლიგის საქმეებზე გაემგზავრებოდეს ერთი კვირა მოუწდება.

მოკავშირეთა საპასუხო ნოტა. გერმანელთა საპასუხო წინადადებათა პასუხში მოკავშირენი აცხადებენ, რომ ომი უდიდესი დანაშაულია კაცობრიობის და სამართლიანობის წინააღმდეგ. გერმანეთთა კონტრ წინა დადებათა მიღება შეუძლებლათ სცნეს, მაგრამ მოკავშირენი თანახმა არიან, რომ ზემო სილენიში მოხდეს პლემბისციტი, რომელიც გამოარკვევს, თუ ვის ხელში გადავა-ეს მხარე, გერმანიის თუ პოლონეთის. სარიის ოლქი ფრანგების ხელში იქნება 15 წელს რომლის შემდეგაც მცხოვრებნი თვით გადასწყვეტენ თავის ხედს. გერმანიას ახალშენებს ველარ დაუბრუნებენ მოკავშირეებს განზრახული არა აქვთ ეკონომიურად გერმანიის ჩაღრჩობა, პირაქით ისინი მზათ არიან გაუადვილონ მას მრეწველობის აღდგენა. გერმანიის ეხლავე ვერ მიიღებენ ხალხთა ლიგაში, მომავალში კი ეს მასხედვე იქნება დამოკიდებული. კაიხერს მოკავშირეთა სამსჯავრო გაასამართლებს; ომის დროს დანაშაულის ჩამდენთა სია საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერიდან ერთი თვის შემდეგ უნდა იქნეს წარმოდგენილი. შესაძლებელია იმ მუხლების შეცვლა, რომელიც ჰელპოლანდს, გერმანიის ფლოტს და ზარალის ანაზღაურებას შეეხება, შეიძლება, რომ გერმანიის ჯარის რაოდენობა 200,000 კაცისაგან შესდგებოდეს სამი თვის განმავლობაში კიდევ შემდეგ, შემდეგ კი 100,000-მდე უნდა შემცირდეს.

ულტიმატუმი ფონდერ პოლცის მიმართ. მოკავშირეთა უმაღლეს სამხერრო საბჭოს დადგენილების გამო ბალტიის მხარეში მყოფ მოკავშირეთა მისიების უფროსმა გენ. გოჟმა გერმანიის გენფონდერ-ოლცს გაუგზავნა ულტიმატუმი, რომელშიაც მოითხოვს, რომ გერმანელებმა შესწყვიტონ ბოლშევიკების მოწინააღმდეგე ლიტვის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლა და ყოველგვარი მოქმედება, რომელიც ლიტვის მთავრობის შედგენის წინააღმდეგაა მიმართული.

გერმანული პრესა.

საქ. დებ. საავენტო.

გერმანია და მოკავშირეთა ულტიმატუმი. გერმანიის საზოგადოებრივი აზრი უარყოფილად შეხვდა ულტიმატუმს. შეუძლებლად მიანჩიათ, რომ შეიდეგანმა და რანტანცაუმმა მხარი დაუჭირონ ხელის მოწერას. ვაზეთები დამოუკიდებლებს ჰკიცხავენ, რომ თუ გერმანიის მკაცრად გქცვიან, ეს იმის გამო, რომ დამოუკიდებლები მთავრობას ოპოზიციაში უდგონ ზავის საკითხში საპასუხო ნოტის იმ ნაწილს, რომელიც ომის დროს გერმანიის ხალხის საქციელს კრიტიკას შეიცავს, დამოუკიდებლები პროპაგანდისთვის იყენებენ „ბერლ. ტაგ.“ და „ქრ. ცვიტ.“ ერთი აზრისანი არიან ულტიმატუმის უარყოფის შესახებ „ფორევერტი“ ირწმუნება, რომ ეროვნულ ყრილობის წევრთა უმრავლესობა ხელის მოწერის წინააღმდეგია და თუ უმრავლესობა ხელის მოწერას დაუჭერს მხარს, მაშინ ახალი მთავრობა უნდა შესდგეს და ახალი დელეგაცია აიჩინეს, მხოლოდ თუ უმრავლესობა ხელის

*) ნაპოლეონმა ეს სთქვა: „რუსი როე გადაფიქროთ, მონგოლი ამოპყფს თავსაო.“ ი. ე.

ქუთათელ მიტროპოლიტი ნაზარის სიტყვა, სოფლებთან მოვი გმირულად დაპარბულის, კოდ-პოლიკოვნიკ ანდრია დადიანის დასაფლავებაზე.

ვერაჲ, მტარვალ მებობლისაგან ომის ცეცხლის ალში გახვეული და სისხლით შეღებული საქართველო, დიდის მოწიწებით მუხლს იყრის შენს წინაშე, თავ თავდადებულ და საამაყო შვილის ცხედრის წინ, რომელმაც ბრძოლის ველზე გმირულად სული დაჰლია თავის სამშობლოს პოლიტიკურ-კულტურულ თავისუფლებისათვის. დღეს ცეცხლითა და მახვილით ისტორიული აუცილებლობით იტყუდება საქართველოს ბრწყინვალე მომავალი, რომლის ერთი საუკეთესო მემკვიდრე, თავდადებული და ბეჯითი მქსოველი იყო ჩვენთვის მუდამ უკვდავი გმირი ანდრია დადიანი, რომელმაც ამ საშინელ ჩვენს ქვეყნის მყოფნი არ მყოფნის, სამკვდრო-სასიცოცხლო მომენტის დროს თავის სამშობლოს საკურთხეველზე დასდგა; ძღვნად მიიტანა და შეკრა ის, რაც მისთვის ყველაზე უფრო ძვირფასი და საყვარელი იყო—თავისი ახალგაზრდა ჯანსაღი თავისი სიცოცხლე, „უმეტეს ამისა“, ბრძანა მაცხოვრებელს, „სიყვარული არავის აქვს, რომელმან დასდგას სული თავისი ძმათა თავისთა“. გმირის ანდრია დადიანის მერს სამშობლოს დასაცველად დაღვრილი სისხლი თეოლია საქართველოს ახალ სახელოვან გმირთა წარმოშობისა.

ქვემოთადაც ბედნიერია ის ერთი, რომელსაც ჰყავს იმისა გმირნი, რომელნიც თავის სიკვდილით ჰქმნიან თავის ქვეყნის და ერის დიდება უკვდავებას. სიკვდილი ამ გვარ ადამიანებისა სიკვდილი კი რაა, არამედ სიცოცხლე, აღდგომა და განხლება ერისა: იგინი თავის ერის გულში მუდამ და მუდამ ცოცხალი არიან და თავის ქვეყნის ძეთა და ასულთა ასულდებულბენ და აღფრთოვანებენ უმაღლესი და უკეთილშობილესი სამშობლოს სიყვარულის იდეალებით, ამისთვის ჩვენ არ შეგვეფერის, რომ ძაძები ჩავიცვათ და ცხარე კრემლები ვაფრქვიოთ მის ძვირფას ცხედრის წინაშე.

შვიდობით, ნეტარება შენ დაუვიწყარო მამულიშვილო, რომ ასე ღირსეულად და დიდებულად შეასრულე შენი ვალი სამშობლოს წინაშე და დაიმსახურე სიკვდილი სიყვარულით სამაგიეროდ შენი მადლიერებერი, პოეტის სიტყვებით, რომ ვსთქვათ ძეგლსა დავიდგამს, ძეგლი იქნება რძინობა გონების და არა ხელით. ამ ძეგლს ეწერება: ქვეყნისთვის გმირი თავდადებული.

ღმერთო ძლიერო! შენ მიიღე და შეიტყებ შენ წმიდა წილში სული ქვეყნისთვის იავდადებული გმირის ანდრია დადიანის და მასთან მხურვალედ გვედრებში, რომ მოუვლინო დღეს საქართველოს განსაცდელიდან თავდასახსნელით კიდევ და კიდევ ქვეყნის გმირნი.

დასავლეთ საქართველოს გადასახადთა ინსპექციის მოხელეთა ცხოვრებადან.

საერთაშორისო ომიანობის ქართველობა და რევოლუციის აუცილებლობის ნაყოფმა, ნორვე-მსხვრვეის ხანამ ბევრი გაკვირების და აუტანელ კრიზისების მოწმე გახდა მრავალი მოქალაქე ჩვენი რესპუბლიკისა.

სასურსათო საკითხის მოუგვარებლობის და ფინანსური კრიზისის გამო გამოწვევულმა საზღაპრო სიძვირემ აუტანელ მატერიალურ მდგომარეობაში ჩააყენა ყველა ის მოქალაქე, რომლის მამოძრავებელ და მასაზრდოვებელ ძალას შეად-

გენდა უნდაგარო და ნაყოფიერი გონიერული მუშაობა. ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფ საზოგადოების ნაწილს შეადგენს სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელენი.

მრავალი ითქვა და მრავალი დაიწერა მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, მაგრამ რეალურად ჯერჯერობით არაფერი გაკეთებულა. არის მხოლოდ ორი დაწესებულება ჩვენს რესპუბლიკაში (არას ვიტყვი თვით სამინისტროების კანცელარიაზე.) რკინის გზა და ფოსტა-ტელეგრაფი, რომელნიც რაღაც ბედნიერ ვარსკვლავზე არიან გაჩნდნი, რომ ჩვენი მთავრობა ასეთ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მათ და შედარებით გაცილებით უკეთეს მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. შეიძლება ეს განსაკუთრებული ყურადღება იმით აიხსნება, რომ მთავრობას სახეში აქვს ამ დაწესებულებათა აუცილებლობა და მათი ნაყოფი ჩვენი ნორჩი რესპუბლიკისათვის. მაგრამ რა დაშავა იმ დაწესებულებამ რომლის არა ნაკლებ აუცილებლობის ნაყოფიერებას აღიარებს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წესწყობილება.

სწორედ ასეთ დაწესებულებას წარმოადგენს ეგრეთწოდებული გადასახადთა ინსპექცია. ეს ის დაწესებულებაა, რომლის ჭეოხებით კიდევ შედის ორიოდ გროში ჩვენს გაძვალტყავებულ ხაზინაში. ეს ის დაწესებულებაა რომლის ენერგიულ მუშაობაზე არის დამყარებული ჩვენი რესპუბლიკის ფინანსური საკითხის მოგვარება და სახელმწიფოებრივი აპარატის ჯგროვანთ ამუშავება. ეს ისიც გავითვალისწინოთ რა მდგომარეობაში იმყოფებიან ამ დაწესებულების მოხელენი. ჯერ კიდევ წასული წლის ბოლო თვეებში იყო მთავრობაში პროექტი ჯამაგირების გათანასწოების და საზოგადოებრივი პროც. მომატებისა. მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს პროექტი ცხოვრებაში არ ვატარდა. შტატების გადასინჯვა და ჯამაგირების მომატება მოხდა მხოლოდ რკინის გზაში და ფოსტაში.

როგორც მოსალოდნელი იყო ჯამაგირების მომატების საკითხი დაისვა დამფუძნებელ კრებაზე, მაგრამ ვერც აქ მიიღო ამ პროექტმა ჯგროვანი დაკანონება. დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა 50 პროც. მომატება, ეს კანონი შეგზო ყველა დაწესებულებებს და ამ რიგით მეტ-ნაკლებობა ჯამაგირებისა სხვა და სხვა დაწესებულებებში ერთ და იმავე საფეხურზე მდგომ მოხელეთა უფრო საგრძნობელი შეიქნა. მაგალითად: ამ კანონის ძალით ფოსტისა და მატარებელს ეძლევა თვეში 900 მან. კანცელარიის კი 550 მანეთი. მიუხედავად ასეთი მდგომარეობის ყოველი მოხელე შეგნებულათ და ნირნათლად ისრულებს თავის მოვალეობას. მოახლოვდა ოცი ივნისი ახალი ჯამაგირების მიღების დრო და მოსამსახურე ცოტათი გაიმართა წელში იმ იმედით, რომ ერთი კვირის განმავლობაში მაინც მოისვენებდა და არ დასჭირებოდა ყოველ დღე ლუკმა პურის საქმნათ წაწალი. მაგრამ ამ შემთხვევაშიდაც მწარედ მოტყუებული დარჩა. როგორც გამოიჩინა ახალი ჯამაგირების მიღების უფლება მიენიჭათ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ დასარჩენ დაწესებულებათა მოხელენი კი იძულებული გახდნენ აეღოთ ძველი უმნიშვნელო ჯამაგირი.

მოსალოდნელ ექსცესების თავიდან ასაცილებლათ საქიროა ჯამაგირების მომატების დროს მეტი ყურადღება მიექცეს ნაყოფიერი შრომის დაფასებას და იმ გარემოებას, რომ ყოველი მოხელე თავის დროზე იღებდეს უმნიშვნელო საფასურს თავის შრომისას.

გ. ჯ—ა.

წერილი გალათიდან.

მივხედოთ საერთო საქმეს. დღეს ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ეჭირვება ერთგულნი მუშაენი—ყველა დარგებში, რომელნიც თვისი ერთგული მუშაობით გააძლიერებენ ჩვენს სახელმწიფოს, და წინ წასწევნ საქართველოს ჩამორჩენილ ცხოვრებას; დრო არის ყველამ შეიგნოს, რომ პარტიულ პროპაგანდას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს ჩვენი ხალხისათვის კერძოდ და საერთოდ საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის; ვინაიდან ეს პროპაგანდა პირდაპირ დამღუპველია ქართველი ხალხისა; პროპაგანდა—სურვილი საკუთარი პარტიის გამარჯვებისა, მოწინააღმდეგის დამარცხებისა და ამისათვის მიმართვა-შმარება ყოველ არასასიამოვნო საშუალებათა-შადებს ხალხში ერთგვარ გაუგებრობას და ურთერთ შორის უნდობლობას, სიძულვილს და ამას რა შედეგი შეუძლია მოყვას კერძოთ ხალხისათვის და საერთოდ დამოუკიდებელ საქართველოსათვის, ყოველმა შეგნებულმა ადამიანმა განსაჯოს.

დღეს ჩვენსა საბედნიეროთ მდგომარეობა უფრო უმჯობესდება, და ამ მხრით ეტყობა, ბევრი გამოიჩინა და ბევრმა აშკარად დაინახა დამღუპველობა პარტიული პროპაგანდისა. ყველაზე უფრო ინტელიგენციას დაეტყო გამოცოცხლება, როგორც საღათ მოაზროვნე ხალხს, და მან ხელი მიყო ისეთ საქმეებს, რომელნიც სასარგებლონი არიან ჩვენი ხალხისათვის.

ინტელიგენციამ სოფლად და ქალაქად დაიწყო კულტურული მუშაობა, და იღწვის ამ საქმისათვის, მოქმედობს, ლაზავს ყოველგვარ დაბრკოლებებს, არღება დამბარკოლებელ მიზეზებს, ითმენს მრავალ-ნაირ შეურაცყოფას და ამით თავდადებულათ გამსახურება საზოგადოებას და მის კეთილდღეობას...

დ. ბაღდათს საკმაოთ ჰყავს განათლებული ხალხი—ინტელიგენცია, დღეს ნაწილად ამ ინტელიგენციისა სხვაგან არის გადახვეწილი და ვერ არგია თავის დაბას, მაგრამ ბაღდათში მაინც საკმაოთ არის განათლებული ხალხი, რომელთაც არ სძინავთ და მიუხედავად ბევრი დამბარკოლებელი მიზეზებისა ხელი მოკიდეს საერთო საქმის კეთებას. ბაღდათში ამ ინტელიგენციამ ენერგიულათ მიყო ხელი კულტურულ მუშაობას და მას ფართო ხასიათი მისცა. ამ ინტელიგენტთა წრემ შეადგინა დრამატული დასი ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ და მართავს ყოველ კვირა-უქმე დღეებში წარმოდგენებს და ამით დიდ სამსახურს უწევს ხალხს; ხალხიც გულმოდგინეთ ეკიდება საქმეს და სისტემატიურად ესწრება წარმოდგენებს; უნდა ითქვას, რომ დარბაზი სადაც წარმოდგენა იმართება პატარა და უადგილობის გამო ბევრი გულდაწყვეტილი შინისკენ ბრუნდება, კარგი იქნებოდა, რომ უფრო მოზრდილ დარბაზს

იშოვიდნენ, რომ ამით ბევრი ხალხი მიიზიდნენ და ინტერესი გაუღვივონ საერთო საქმისათვის. წარმოიქმნება მარუება საქველ-მოქმედის მიზნით, და აგრეთვე ადგილობრივი სახალხო სახეობის დიდის განაძლიერებლათ. კომისია სახალხო სახლის აშენებისა უკვე შემდგარია და ყოველნაირ საშუალებებს ხმარობენ გააძლიერონ ფონდი სახალხო სახლისა. ამ ბოლო ხანებში ზემო დასახლებულმა ინტელსგენციამ ენერგიულათ მოკლდა ხელი კულტურულ მუშაობას და ხალხში განათლების შეტანას და ამ საერთო მუშაობაში უნდა ჩაითრიოს ყველა ვისაც ძალი შესწევს მათთან ერთად მოღვაწეობისა და საედოთ საქმის კეთებისა... ძალიან მუყაითად ეკიდება საქმეს ადგილობრივი 4 კლასიან სკოლის მისწავლებელი სტუდენტი ბ. ივ. ნაზემცოვი, მიუხედავად იმისა, რომ ის არ ეკუთვნის ბაღდათის მკვიდრთ. ბ. ნაზემცოვი ეწევა კულტურულ მუშაობას და სხვადაც აქეზებს საერთო საქმისათვის; მიუხედავად იმისა, რომ კერძო საქმეებით დატვირთულია, ის არ ივიწყებს საზოგადო საქმეს. ვუსურვებ ბ. ნაზემცოვს მეტ ძალას და ენერგიას საზოგადო საქმეებში; საზოგადოება არ დაივიწყებს მის ასეთ უნაგრო სამსახურს. ბ. ლევ. კუჭუხიძე ადგილობრივ სასამართლოს გამომძიებელი დიდ სამსახურს უწევს ხალხს თავისი პატიოსანი მუშაობით, მიუხედავად საკუთარი საქმეებისა ბ. კუჭუხიძე დედის სიყვარულითა და ხალხისთ ეკიდება საზოგადო საქმეს; საერთოდ ყველანი ინტერესითა და სიხალისით ეკიდებიან ნაკისრ მოვალეობას. დასასრულ მე ვუსურვებ ბაღდათის ინტელიგენციას მეტ ენერგიას, ძალას მუყაითობას და სიყვარულს საერთო საქმისადმი. ამ თავდადებული მუშაობით ისინი ემსახურებიან საზოგადოებას, სამშობლოს და შემდეგ მთელ კაცობრიობას; საზოგადოება არ დაივიწყებს მათს ასეთ დეაწლს. სასურველი იქნებოდა სხვებსაც ამათს მაგალითისათვის მიუხედავად და მათთან ერთად ემუშავათ შეძლებისამებრ თუ არა.

არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს, იყოს სოფელში და სოფელს კი არა რა არგოს.

ვალეკო

ღია წერილი.

„ოკრიბის მთავალყურეს“ ვაზ. „ჩვენი ქვეყნის“ 17 ივნისის ნუმერში მოთავსებული იყო თქვენი კორესპონდენცია რომელითაც მე ჩირქსა მცხებთ და ბრალდებებს მიყენებთ. ამისთვის თქვენ გიწვევთ სამედიატორო სამართალში. გაძლევთ ერთი კვირის ვადას. ჩემი მხრით მედიატორებთან ვასახელებ სილიბისტრო ქარქაშაძეს და გიორგი ბოჭორიშვილს.

საწირის საზოგ. კომისიარი გენაძე. რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის
ყოველ დღიური გაზეთი
„რეპუბლიკური“
გაზეთის ფას: ერთი თვით 20 მან. სამი თვით 50 მან. ხელის მოწერა და განცხადებანი მიიღება დილის 10 საათიდან 3 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე.